

**ბაზისბანკი და მისი
შვილობილი
კომპანიები**

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა და

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ჯგუფი ბაზისბანკი

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	2-3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი	4
კონსოლიდირებული ბალანსი	5
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	6
კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ	7-8
კონსოლიდირებული ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	9-46

**ხელმძღვანელობის ანგარიში 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და
დამტკიცებაზე**

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-2 და მე-3 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რომ გაემიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოება ბაზისბანკის (“ბანკი”) და მისი შვილობილი კომპანიის, ერთად მოხსენიებული როგორც ჯგუფი ბაზისბანკი (“ჯგუფი”) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ბალანსის, მოგება ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების წარდგენაზე, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული საბუღალტრო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობისა და მართებულობის უზრუნველყოფაზე;
- ფასს-ის მოთხოვნების სრულად შესრულებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი გამონაკლისების ახსნა-განმარტებაზე;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არ ივარაუდება, რომ ჯგუფი გააგრძელებს საქმიანობას მომავალში.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მოქნილი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და შესრულებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, და ასევე შუალედური ფინანსური ანგარიშგების ფასს-ს მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების მიზნით საჭირო ქმედებების განხორციელებაზე
- თაღლითობის, ცდომილებების და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2006 წლის 24 მარტს დირექტორთა საბჭოს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად დირექტორთა საბჭოს მიერ, 2007 წლის 15 აპრილის.

დირექტორთა საბჭოს სახელით

გენერალური დირექტორი
ზურაბ ციხისთავი

დირექტორი
ირაკლი ბოქოლიშვილი

15 აპრილი 2007

15 აპრილი 2007

დაგოუპიდეგელ აუდიტორთა დასკვნა

კომპანიის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკის" (ბანკი) და მისი შვილობილი კომპანიის ("ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნაგამრტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყდნობით გამოვთქვით მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგვემგზავსა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებას და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

15 აპრილი 2007

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიში
2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2005 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	4,20	6,601	4,313
საპროცენტო ხარჯი	4,20	<u>(2,053)</u>	<u>(953)</u>
წმინდა საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო სარგებლის მომთან აქტივებზე შესაძლო ბაზუფასურების რეზერვის ფორმირებამდე	4	4,548	3,360
შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ფორმირება საპროცენტო სარგებლის მომთან აქტივებზე	5, 20	<u>(1,163)</u>	<u>(271)</u>
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		<u>3,385</u>	<u>3,089</u>
წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან	6	1,124	884
საკომისიო შემოსავალი	7,20	2,683	1,533
საკომისიო ხარჯი	7	(675)	(521)
მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან		1	18
სხვა შემოსავალი		<u>222</u>	<u>-</u>
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		3,355	1,914
საოპერაციო შემოსავალი		6,740	5,003
საოპერაციო ხარჯი	8,20	<u>(3,857)</u>	<u>(2,092)</u>
საოპერაციო მოგება		2,883	2,911
სხვა აქტივებსა და გარესაბალანსო ოპერაციებზე შესაძლო გაუფასურების რეზერვი	5	(91)	(10)
წმინდა მოგება მოგების ბაღასახადის ბაღასამდე		2,792	2,901
მოგების გადასახადი	9	<u>(657)</u>	<u>(568)</u>
წმინდა მოგება		<u>2,135</u>	<u>2,333</u>

დირექტორთა საბჭოს სახელით

გენერალური დირექტორი
ზურაბ ციხისთავი

დირექტორი
ირაკლი ბოქოლიშვილი

15 აპრილი 2007

15 აპრილი 2007

მე-9-46 გვერდებზე მითითებული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში
მოცემულია მე-2 და მე-3 გვერდებზე.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებული ბალანსი
2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2006 წლის 31 დეკემბერი	2005 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულადი ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	10	13,933	10,828
ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები	11	9,190	6,335
კლიენტებზე გაცემული სესხები	12,20	46,871	29,082
გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები		3	3
დაფარვის ვადადღე ფლობილი ფასიანი ქაღალდები		50	-
ძირითადი საშუალებები	13	7,870	3,806
არამატერიალური აქტივები	13	100	120
სხვა აქტივები	14	379	514
სულ აქტივები		78,396	50,688
ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი			
ვალდებულებები			
ბანკებიდან მიღებული სესხები და ავანსები	15	3,445	1,485
კლიენტთა ანგარიშები	16,20	58,801	37,200
გადასახდელი მოგების გადასახადი		95	314
გადავადებული მოგების გადასახადი	9	738	90
სხვა ვალდებულებები	17	215	179
სულ ვალდებულებები		63,294	39,268
აქციონერთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	5,025	5,025
სხვა რეზერვები		2,347	-
გაუნაწილებელი მოგება		7,730	6,395
სულ აქციონერთა კაპიტალი		15,102	11,420
სულ ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი		78,396	50,688

დირექტორთა საბჭოს სახელით

გენერალური დირექტორი
 ზურაბ ციხისთავი

დირექტორი
 ირაკლი ბოქოლიშვილი

15 აპრილი 2007

15 აპრილი 2007

მე-9-46 გვერდებზე მითითებული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში მოცემულია მე-2 და მე-3 გვერდებზე.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებული ანგარიში მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების შესახებ
 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	ქონების და მოწყ.- დანდაგ.-ის გადაფასების რეზერვი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ კაპიტალი
2004 წლის 31 დეკემბერი	5,025	-	4,462	9,487
ჩვეულებრივ აქც.-ზე გაცხადებული დივ. წმინდა მოგება			(400)	(400)
			2,333	2,333
2005 წლის 31 დეკემბერი	<u>5,025</u>		<u>6,395</u>	<u>11,420</u>
ძირითადი საშუალებების გადაფასებით მიღებული მოგება (ზარალი), გადასახადები გათვალისწინებით, 587 ათასი	-	2,347	-	2,347
ჩვეულებრივი აქც.-ზე გაცხადებული დივ. წმინდა მოგება			(800)	(800)
			2,135	2,135
2006 წლის 31 დეკემბერი	<u>5,025</u>	<u>2,347</u>	<u>7,730</u>	<u>15,102</u>

დირექტორთა საბჭოს სახელით

გენერალური დირექტორი
 ზურაბ ციხისთავი

დირექტორი
 ირაკლი ბოქოლიშვილი

15 აპრილი 2007

15 აპრილი 2007

მე-9-46 გვერდებზე მითითებული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
 ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში
 მოცემულია მე-2 და მე-3 გვერდებზე.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2005 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული საპროცენტო სარგებელი		6,290	4,253
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(1,231)	(873)
ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავალი		1	18
მიღებული საკომისიო		2,905	1,533
გადახდილი საკომისიო		(662)	(513)
გადახდილი საოპერაციო ხარჯი		(2,477)	(910)
გადახდილი მოგების გადასახადი		(815)	(191)
		<hr/>	<hr/>
ფულადი სახსრების მოძრაობა, საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		4,011	3,317
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება:			
მინიმალური სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში		(2,170)	(1,261)
ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები		(4,736)	363
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(21,047)	(14,812)
სხვა აქტივები		39	-
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება):			
ბანკებიდან მიღებული სესხები და ავანსები		1,994	1,466
კლიენტთა ანგარიშები		24,219	16,990
სხვა ვალდებულებები		20	-
		<hr/>	<hr/>
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		2,330	6,303
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მატერიალური და არამატერიალური აქტივების		(1,670)	(2,513)
ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია/შეძენა		(50)	(240)
		<hr/>	<hr/>
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,720)	(2,273)

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოკრობის ანგარიში
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქეშა)
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2005 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:			
გადახდილი დივიდენდები		(800)	(400)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(800)	(400)
ფულისა და ფულადი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(190)	3,390
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულად ექვივალენტებზე		(204)	97
ფული და ფულადი ექვივალენტები, წლის დასაწყისისათვის	10	13,384	9,897
ფული და ფულადი ექვივალენტები წლის ბოლოს	10	12,990	13,384

დირექტორთა საბჭოს სახელით

გენერალური დირექტორი
ზურაბ ციხისთავი

დირექტორი
ირაკლი ბოქოლიშვილი

15 აპრილი 2007

15 აპრილი 2007

მე-9-46 გვერდებზე მითითებული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში მოცემულია მე-2 და მე-3 გვერდებზე.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

1. ორბანიზაცია

სააქციო საზოგადოება ბაზისბანკი (შემდგომში “ბანკი”) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1993 წელს და რეგისტრირებულია საქართველოში. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სეზ”). ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას მიღებული გენერალური ლიცენზიის ფარგლებში, ნომერი 173. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით და სესხების გაცემა.

ბანკის იურიდიული მისამართია ქეთევან წამებულის 1 თბილისი, 0103, საქართველო

2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი ფლობდა 9 ფილიალს საქართველოს ტერიტორიაზე.

ბანკი ფლობს შპს ბაზისის (“შვილობილი”) აქციების 100% მისი დაარსების დღიდან, 1999 წლის 14 დეკემბრიდან. შპს ბაზისის სარეგისტრაციო ნომერი, საქართველოში, არის 06/4-223. შპს ბაზისის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბროკერო ოპერაციები.

2006 და 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციებს ფლობდნენ:

აქციონერები	2006 მფლობელის წილი, %	2005 მფლობელის წილი, %
ზურაბ ციხისთავი	16.36%	16.36%
ელდარ მილდიანი	11.62%	11.62%
ზურაბ ნიშნიანიძე	10.00%	10.00%
მურმან ამბროლაძე	7.74%	7.74%
არჩილ მაზიაშვილი	7.44%	7.44%
ქეთევან სოსელია	6.60%	6.60%
ტარას ნიჟარაძე	5.38%	5.38%
გია პეტრიაშვილი	5.37%	5.37%
ქეთევან სხირტლაძე	5.22%	5.22%
გოდერძი მელაძე	5.19%	5.19%
თენგიზ მაზიაშვილი	5.15%	5.15%
სხვა ფიზიკური პირები	13.93%	13.93%
სულ	100%	100%

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად დირექტორთა საბჭოს მიერ 2007 წლის 15 აპრილს.

ჯგუფი ბაზისბანკი

**კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქემა)**

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

2. წარდგენის საშუალებები

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები

ბანკის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ფასს”), რომელიც გამოცემულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ, ხოლო განმარტებები გამოცემულია საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტებების კომიტეტის მიერ (“იმკ”).

აღნიშნულ უწყისებში მოცემული თანხების ფულადი ერთეულია – ათასი ქართული ლარი, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული იქნა დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ისტორიული ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით.

ძირითადი დაშვებები

ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოითხოვს ხელმძღვანელობისაგან შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას, რომლებიც გავლენას იქონიებს ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, პირობითი აქტივების და ვალდებულებების გამჟღავნებაზე. ანგარიშგებაში მოცემული ფაქტიური შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს მოცემული შეფასებებისაგან. შეფასებები, რომელთა განსხვავება ფაქტიურ შედეგებთან ყველაზე მეტად შესაძლებელია, დაკავშირებულია სესხების გაუფასურების რეზერვის ფორმირებასთან და ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრასთან.

ფულადი ერთეული

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფულადი ერთეულია ქართულ ლარი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბანკის და ბანკის მიერ კონტროლირებადი (შვილობილი) კომპანიების ანგარიშგებებს, ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლის არსებობა გულისხმობს ბანკის მიერ შვილობილი კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის მართვას მისი საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით. ჯგუფის ყველა შიდა ოპერაციები, ნაშთები შემოსავლები და ხარჯები ამოღებულ იქნა კონსოლიდაციის დროს.

ჯგუფი ბაზისბანკი

**კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქველი)**

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ჯგუფის ბალანსზე ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ასევე, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგებისა და ზარალის ანგარიშში გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპოდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში ("სებ") დაფარვის ვადით 90 დღემდე, სახსრებს, რომელთა კონვერტირებაც შესაძლებელია დროის მოკლე პერიოდში და განთავსებულია იმ ქვეყნების ბანკებში, რომლებიც შედიან ეკონომიური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციაში ("ეგთო"). საქართველოს ეროვნულ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების თანხა არ მიეკუთვნება ფულად ექვივალენტებს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, მათი გამოყენების შეზღუდულობის გამო.

ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები

თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში ჯგუფი სხვადასხვა ვადებით განათავსებს სახსრებს ბანკებში. ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები, ფიქსირებული დაფარვის ვადით, აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური სპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სესხები, რომელთაც არ აქვთ ფიქსირებული დაფარვის ვადა, აისახება ამორტიზირებული ღირებულებით მოსალოდნელი დაფარვის ვადის საფუძველზე. საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები აისახება შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოკლებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული გადახდებით, რომელთა კონტრება არ ხორციელდება მზარდი მოთხოვნის ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა.

ჯგუფი ბაზისბანკი

**კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქაძე)**

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

ჯგუფის მიერ გაცემული სესხები, თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება სესხის რეალურ საბაზრო ღირებულებისგან, მაგალითად, როდესაც სესხი გაცემულია საბაზროზე ნაკლებ განაკვეთში, სხვაობა გამოყენებულ საბაზრო ღირებულებასა და სესხის რეალურ სამართლიან ღირებულებას შორის უნდა აღიარებული იყოს ზარალად ასეთი სესხის თავდაპირველი აღიარებისთანავე და უნდა აისახოს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც აქტივების წარმოქმნასთან დაკავშირებული ზარალი. შედეგად, სესხის ასახვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ჩამოწერილი სესხები და ავანსები

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების შესაძლო გაუფასურების დანაკარგის რეზერვთან მიმართებაში, უზრუნველყოფის დასაკუთრების გათვალისწინებით. სესხები და ავანსები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი გამოიყენებს ყველა არსებულ შესაძლებლობას ჯგუფის მიერ მისაღები თანხის ამოსაღებად და გაყიდის არსებულ უზრუნველყოფას.

გაუფასურების რეზერვი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი ადგენს ამ ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ნარჩენ ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის, გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან მიღებული თანხების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, იმ ფინანსური აქტივებისათვის რომელიც წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების რეზერვი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად მივაკუთვნოთ გაუფასურების რეზერვის აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების რეზერვი კორექტირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შემცირებით. ნარჩენი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და ასახავს იმ თანხას, რომელიც მენეჯმენტის განსჯით ადეკვატურია დანაკარგის უზრუნველსაყოფად. რეზერვები განისაზღვრება რისკიანი აქტივების ინდივიდუალური შეფასებით იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასებით იმ აქტივებისათვის, რომლებსაც ინდივიდუალურად არ გააჩნია დიდი მნიშვნელობა.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქეპება)

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

გაუფასურების რეზერვის ცვლილება აისახება ნაერთ მოგებაზე, ხოლო მთლიანი გაუფასურების რეზერვი აკლდება აქტივებს, როგორც ეს ნაჩვენებია საბალანსო უწყისში. გაუფასურების რეზერვის ობიექტური საფუძველის განსაზღვრისათვის, ჯგუფი განიხილავს ისეთ ფაქტორებს როგორცაა მსესხებლის ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, ბიზნესისა და ფინანსური რისკების მიმართ დამოკიდებულება, მსგავსი ფინანსური აქტივების გადაუხდელობის ხარისხი და ტენდენციები, ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკის ტენდენცია და მდგომარეობა, აგრეთვე უზრუნველყოფისა და გარანტიების საბაზრო ღირებულება. აღნიშნული და სხვა ფაქტორები, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წარმოადგენენ ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურებისათვის საკმარის ობიექტურ საფუძველს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ გაუფასურების განსაზღვრა ითვალისწინებს განსჯას. შესაძლებელია რომ კონკრეტულ პერიოდებში ჯგუფმა განიცადოს ზარალი, რომელიც აისახება შესაბამის გაუფასურების რეზერვზე, რომლის ადეკვატურობა რისკიან აქტივებთან დაკავშირებულ შესაძლო ზარალის დაფარვასთან მიმართებაში, უშუალოდ მენეჯმენტის განსჯის შედეგს წარმოადგენს.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ სავალო ფასიან ქაღალდებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით. ჯგუფს განზრახული აქვს შეინარჩუნოს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადის დადგომამდე. ასეთი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. დისკონტის აღიარება პერიოდულად ხდება საპროცენტო შემოსავალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დაფარვის ვადის დადგომამდე.

გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები

გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ ინვესტიციებს სავალო ფასიანი ქაღალდებით, რომლის შენახვაც განზრახულია განუსაზღვრელი ვადით. ასეთი ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდომში, ფასიანი ქაღალდების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და გადაფასების შედეგი აისახება კაპიტალში, შემდგომში მათ რეალიზაციამდე. რეალიზაციის შედეგად წინა პერიოდებში გადაფასებით მიღებული მოგება/ზარალი ტრიალდება მოგება ზარალის უწყისი გავლით, გარდა გაუფასურებით გამოწვეული ზარალის, კურსთაშორისი ცვლილებების შედეგად მიღებული მოგებისა და ზარალის და ასევე დარიცხული საპროცენტო სარგებლისა, რომელთა ასახვა ხორციელდება პირდაპირ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების დასადგენად ჯგუფი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია კოტირებულ ღირებულებაზე არ მოიპოვება საბაზრო ღირებულების დასადგენად ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდს. შეფასების ტექნიკა ითვალისწინებს ბოლო საბაზრო ოპერაციებს, განხორციელებულს ნორმალურ საბაზრო პირობებში, სხვა მზგავს ინსტრუმენტზე მიმდინარე სამართლიან ღირებულებით, ფულადი ნაკადების დისკონტს და ოფციონის ფასის დადგენის მეთოდს. იმ შემთხვევაში თუ ბაზარზე არსებობს ხშირად გამოყენებადი შეფასების ტექნიკა, რომელიც იძლევა სანდო შეფასებებს რეალურ საბაზრო ფასებზე, ჯგუფი იყენებს ამ ტექნიკას. მიღებული დივიდენდები აისახება როგორც შემოსავალი დივიდენდებიდან, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში თუ სამართლიანი ღირებულების უტყუარი დადგენა შეუძლებელია, არა საბაზრო სასესხო და კაპიტალის ინსტრუმენტები აისახება ამორტიზირებული თვითღირებულებით და თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქველი)

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების შემთხვევაში, ხდება წინა პერიოდებში კაპიტალზე ასახული აკუმულირებული ზარალის ამოღება და მიმდინარე პერიოდის მოგება – ზარალის ანგარიშზე ასახვა. სასესო ინსტრუმენტებზე ამგვარი გაუფასურების დანაკარგების რეკლასიფიკაცია, რაც ობიექტურადაა დაკავშირებული გაუფასურების შემდგომ პერიოდში მომხდარ მოვლენებთან, აისახება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშზე. კაპიტალის ინსტრუმენტებზე ამგვარი გაუფასურების დანაკარგების რეკლასიფიკაცია არ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშზე.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აისახება ისტორიული ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. მშენებარე აქტივები და ის აქტივები, რომელთა ექსპლუატაცია ჯერ არ არის დაწყებული, ცვეთას ექვემდებარება ამ აქტივების ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის დღიდან.

ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია გამოიქვეთება აქტივების ისტორიული ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება	2%
ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული მოწყობილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
არამატერიალური აქტივები	10%

რემონტისა და განახლების ხარჯები აისახება გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის იმისათვის რათა დადგინდეს ხომ არ აღემატება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე.

გაუფასურებით მიღებული დანაკარგის აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის რომ თანაბრად გადაანაწილდეს გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქეპება)

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

მიწა და ნაგებობები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის, საბალანსო უწყისში, ასახულია გადაფასებული ღირებულებებით. გადაფასება განხორციელდა დამოუკიდებელი, პროფესიონალი შემფასებლის მიერ საბაზრო მიდგომით, მინუს შემდგომი აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხორციელდება საკმარისი სისწიერით რათა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს მათი სამართლიანი ღირებულებისაგან, ბალანსის შედგენს თარიღისათვის.

ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად გაზრდილი ღირებულება აღირიცხება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის დაკრედიტებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის ამცირებს წინა პერიოდებში აღიარებული გადაფასების შედეგად მიღებულ ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში, ზრდა აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშზე წინა პერიოდში აღიარებული ხარჯების ოდენობით. გადაფასების შედეგად გამოწვეული ნარჩენი ღირებულების შემცირება აღირიცხება ხარჯად იმ ოდენობით, რამდენითაც აჭარბებს გადაფასების რეზერვთან დაკავშირებულ, აღნიშნული აქტივის წინა პერიოდის გადაფასების ნაშთს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გადაფასებული შენობის ცვეთა გადაიტანება შემოსავალში. გადაფასებული ძირითადი საშუალების შემდგომი გაყიდვის ან ამოღების შემთხვევაში, შესაბამისი ნარჩენი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.

დაბეგრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის წარმოდგენილ ანგარიშგებაში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმ ფარგლებში, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია გუდვილით ან სხვა აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების ნარჩენი ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საბალანსო პერიოდისათვის და მცირდება იმის გათვალისწინებით, რომ აღარ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ იარსებებს საკმარისი დასაბეგრი მოგება რომელიც გამოყენებული იქნება ყველა ან ზოგიერთი აქტივის აღსადგენად.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქველა)

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ სავადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულებების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის. გადავადებული გადასახადი აისახება მოგება-ზარალის უწყისში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა გადასახადები, რომლებიც გამოითვლება ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები წარმოადგენს საოპერაციო ხარჯების კომპონენტს მოგება-ზარალის უწყისში.

ბანკებისა და კლიენტების ანაბრები

ბანკებისა და კლიენტების დეპოზიტები თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს გარიგებით მოზიდულ სახსრებს, ამ გარიგებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით. შემდგომში, გადასახდელი თანხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით და ნებისმიერი სხვაობა მიღებულ თანხებსა და დაფარულ თანხებს შორის აისახება მოგება-ზარალის უწყისში ვალის საბოლოო გადახდამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

რეზერვი

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პირობითი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება. აღნიშნული ვალდებულებების შეფასება შესაძლებელი უნდა იყოს საკმარისი ხარისხის სიზუსტით.

გაცემული ფინანსური გარანტიები და აკრედიტივები

ჯგუფის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიები და აკრედიტივები წარმოადგენს კრედიტის დაზღვევის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს გარკვეული თანხების გადახდას იმ ზარალის ასანახადურებლად, რომელიც წარმოიშვა იმის გამო რომ დებიტორმა ვერ შეძლო თანხის გადახდა დადგენილ ვადაში.

ასეთი სახის გაცემული ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. შემდეგ კი მისი შეფასება ხდება მომდევნო ორს შორის უდიდესით: 1) უზრუნველყოფის აღიარებული თანხა და 2) თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე და აკრედიტივზე მიღებული პირველადი პრემიის შემოსავლის აკუმულირებული ამორტიზაცია.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის აღიარება ხდება პირვანდელი ღირებულებით. საწესდებო კაპიტალში აქტივებით განხორციელებული შენატანი, გარდა ფულადი შენატანისა, აისახება საბაზრო ღირებულებით, შენატანის განხორციელების დღეს.

დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე აღიარებულია როგორც კაპიტალის შემცირება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გამოცხადებული დივიდენდები, განიხილება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (“ბასს”) №10 სტანდარტის შესაბამისად “ბალანსის თარიღის შემდგომ მომხდარი მოვლენები” და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იქნება შესაბამისად.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქეპება)

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფი უკავებს თანამშრომლებს საპენსიო თანხას ხელფასიდან და რიცხავს მას სახელმწიფო ფონდში. სისტემით დამატებით გათვალისწინებულია დამქირავებლის მიერ მიმდინარე შენატანების გაანგარიშება, როგორც პროცენტი თანამშრომლებზე გაცემული მთლიანი მიმდინარე თანხიდან. ასეთი ხარჯები აღიარებას ექვემდებარება ხელფასების გამომუშავების პერიოდში. პენსიაზე გასული თანამშრომლების პენსიის გადახდას ახორციელებს სახელმწიფო საპენსიო ფონდი. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სხვა საპენსიო პროექტები გარდა სახელმწიფო საპენსიო ფონდისა, რომელიც ითვალისწინებს დამქირავებლის მიერ მიმდინარე შენატანების განხორციელებას მიმდინარე დარიცხული ხელფასის პროცენტის სახით. ჯგუფს არ გააჩნია პენსიაზე გასვლის შემდგომი რაიმე სხვა სარგებელი ან მნიშვნელოვანი კომპენსაცია, რომელიც საჭიროებს დარიცხვას.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ითვლის ფინანსური აქტივის ან ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების ჯგუფების) ამორტიზებულ ღირებულებას და ანაწილებს საპროცენტო განაკვეთიდან მიღებულ შემოსავალს ან ზარალს შესაბამის პერიოდებზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტრირებს მოსალოდნელ მომავალ ფულად გასაღებას ან შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის ექსპლოატაციის ხანგრძლივობის პერიოდით, ან როცა საჭიროა უფრო მცირე პერიოდით ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებაზე.

მას შემდეგ რაც მოხდება გაუფასურების ზარალით გამოწვეული ფინანსური აქტივების ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ჩამოწერა (ნაწილობრივი ჩამოწერა), საპროცენტო მოგების აღიარება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის გაუფასურებულ ზარალის გაზომვის მიზნით. საპროცენტო შემოსავალი ასევე მოიცავს შემოსავალს ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან. სხვა შემოსავალი კრედიტდება მოგება-ზარალის უწყისზე შესაბამისი ოპერაციის დასრულების შემდეგ.

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შესაძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შეუძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. მაშინ როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება სესხის გაცემამდე სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში ვადის ამოწურვის დღეს. სასესხო მომსახურების საკომისიოს შემოსავალში აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა. სასესხო სინდიკაციის საკომისიო აღიარება, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში ხდება სინდიკაციის დასრულების შემდეგ. ყველა სხვა საკომისიოების აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქველი)

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება საბალანსო უწყისის შედგენის თარიღისათვის ბანკთაშორის ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში როგორც საკურსო ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება ან ზარალი.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას.

	31 დეკემბერი 2006	31 დეკემბერი 2005
ქართული ლარი/1 ამერიკული დოლარი	1,714	1,793
ქართული ლარი/1 ევრო	2,256	2,125

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და ბალანსში აისახება წმინდა ღირებულებით, იმ შემთხვევაში თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა. ფინანსური აქტივის გადაცემა, რომელიც არ წარმოადგენს ჩამოწერას არ იწვევს ჯგუფის მიერ გადაცემული აქტივისა და შესაბამისი ვალდებულებების გაქვითვას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ცვლილება

საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭომ შეიტანა ცვლილებები რიგი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (“ბასს”) და განაახლა რამოდენიმე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (“ფასს”) რომელიც გავლენას ახდენს 2005 წლის 1 იანვარს დაწყებულ საანგარიშგებო წელზე. ამ ცვლილებებს არ მოუხდენია სერიოზული ეფექტი ჯგუფის 2005 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

“ბასს”-ის 39-ე სტანდარტი - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, შეიცვალა 2005 წლის ივლისში და ზეგავლენას იქონიებს 2006 წლის 1 იანვარს დაწყებულ საანგარიშგებო წელიწადზე, ხოლო “ფასს” 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შემოღებულია 2005 წლის აგვისტოში და ზეგავლენას იქონიებს 2007 წლის 1 იანვარს დაწყებულ საანგარიშგებო წელიწადზე.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრძელება)

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

ახალი სტანდარტების მიღება

2006 წლიდან ბანკთან მიმართებაში, აღნიშნული განმარტებები და ცვლილებები შევიდა ძალაში:

- იმკ 4 “განსაზღვრავს შეიცავს თუ არა ხელშეკრულება ლიზინგს”, (ძალაში შესვლის თარიღი 2006 წლის 1 იანვარი);
- იმკ 9 “ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადამოწმება”, (ძალაში შესვლის თარიღი 2006 წლის 1 ივნისი)
- ბასს 39-ის ცვლილებები ფინანსურ საგარანტიო ხელშეკრულებებში (ძალაში შესვლის თარიღი 2006 წლის 1 იანვარი)
- ბასს 39-ის ცვლილებები სამართლიანი ღირებულების არჩევანთან (ძალაში შესვლის თარიღი 2006 წლის 1 იანვარი)

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების დღიდან ბანკთან მიმართებაში მიღებულ იქნა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა შემდეგი სტანდარტები და განმარტებები:

- ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, (ძალაში შესვლის თარიღი 2007 წლის 1 იანვარი);
- იმკ 10 “შუალდური ფინანსური აღრიცხვა და გაუფასურება”, (ძალაში შესვლის თარიღი 2007 წლის 1 ნოემბერი)
- კაპიტალის სამართავად ბანკის მიზნების, პოლიტიკის და პროცედურების წარდგენის ცვლილება ბასს 1-ის შესაბამისად. (ძალაში შესვლის თარიღი 2007 წლის 1 იანვარი);

ამჟამად ხელმძღვანელობა იხილავს ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების გავლენას მომავალ პერიოდებზე.

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრძელები)
 (ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

4. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2005 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავლები		
კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი	6,394	3,992
ბანკებზე გაცემული სესხებიდან და ავანსებიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი	198	211
სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი	9	110
	<u>6,601</u>	<u>4,313</u>
სულ საპროცენტო შემოსავლები		
საპროცენტო ხარჯები		
კლიენტთა ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,834)	(914)
ბანკებიდან მიღებულ სესხებსა და ავანსებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(219)	(39)
	<u>(2,053)</u>	<u>(953)</u>
წმინდა საპროცენტო შემოსავლები, საპროცენტო სარგებლის მომტანი აქტივებზე შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ფორმირებამდე	<u><u>4,548</u></u>	<u><u>3,360</u></u>

5. შესაძლო გაუფასურების რეზერვი

ინფორმაცია საპროცენტო სარგებლის მომტანი აქტივების შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობაზე წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	სულ
31 დეკემბერი 2004	16	393	409
რეზერვი	(16)	287	271
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	-	332	332
31 დეკემბერი 2005	-	1,012	1,012
რეზერვი	-	1,163	1,163
აქტივების ჩამოწერა	-	(79)	(79)
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	-	37	37
31 დეკემბერი 2006	-	2,133	2,133

ჯგუფი ბაზისბანკი

**კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქელა)**

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

ინფორმაცია სხვა ოპერაციების შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობაზე წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	სხვა აქტივები	გამოშვებული გარანტიები	სულ
31 დეკემბერი 2004	31	84	115
რეზერვი	36	(26)	10
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	-	2	2
31 დეკემბერი 2005	67	60	127
რეზერვი	91	-	91
აქტივების ჩამოწერა	(98)	-	(98)
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	2	-	2
31 დეკემბერი 2006	62	60	122

6. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან შეადგენს:

	2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2005 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
სადილინგო ოპერაციები, წმინდა არარეალიზებული საკურსო სხვაობა, წმინდა	1,468 (344)	1,103 (219)
სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან	1,124	884

ჯგუფი ბაზისბანკი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქემა)

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

7. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები შეადგენს:

	31 დეკემბერი 2006	31 დეკემბერი 2005
საკომისიო შემოსავლები:		
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	932	827
დოკუმენტური ოპერაციები	455	170
ანგარიშსწორებები	270	21
პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული ოპერაციები	170	102
სხვა	856	413
სულ საკომისიო შემოსავლები	2,683	1,533
საკომისიო ხარჯები:		
ანგარიშსწორებები	(361)	(282)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(185)	(120)
უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები	(13)	(22)
სხვა	(116)	(97)
სულ საკომისიო ხარჯები	(675)	(521)

8. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები შეადგენს:

	2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2005 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები და პრემიები	1,469	536
სახელფასო და სოციალური გადასახადები	542	195
ცვეთა და ამორტიზაცია	527	269
დაცვის ხარჯები	269	173
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები	148	111
ძირითადი საშუალებების შენახვის ხარჯები	129	44
ოფისის ინვენტარი	129	43
საოპერაციო ლიზინგი	104	64
პროფესიული მომსახურება	86	68
ბარათების და ბანკის ბლანკების წარმოება	86	67
გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გარდა	62	33
დამხმარე მასალების დანახარჯები (შექენა)	60	33
გართობის ხარჯები	18	9
ჯარიმები და სანქციები	16	294
სხვა ხარჯები	212	153
	3,857	2,092

ჯგუფი ბაზისბანკი

**კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ბაბრქელება)**

(ათას ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არა არის განსაზღვრული)

9. მოგების გადასახადი

ჯგუფი საგადასახადო ანგარიშგებას აწარმოებს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

ჯგუფი განიცდის მუდმივ საგადასახადო განსხვავებებს გარკვეული არასაგადასახადო ხარჯების გამოვიქვითვისა და გადასახადისაგან განთავისუფლებული შემოსავლებიდან გამომდინარე.

